ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1

ქ.თბილისი

14 ნოემბერი, 2017 წელი
11[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

გიორგი ალიბეგაშვილი	მიხეილ ამაშუკელი
ლევან არველაძე	გიორგი ახვლედიანი
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
გიორგი გაბაშვილი	თემურ გორგაძე
გულია გოცირიძე	ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი	ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე	მარიკა დარჩია
დავით დარჩიაშვილი	გიორგი დოხტურიშვილი
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	ირაკლი ზარქუა
გოჩა თევდორაძე	ფრიდონ ინჯია
თევდორე ისაკაძე	ერეკლე კუხიანიძე
ანა ლაშხი	ნინო ლაცაბიძე
ლილე ლიპარტელიანი	ქეთევან მამულაშვილი
გიორგი მუსხელიშვილი	ირაკლი ნადირაძე
თინათინ ნიბლოშვილი	შალვა ოგბაიძე
დათო რურუა	რევაზ სოხაძე
თამარ ტალიაშვილი	გიორგი ტყემალაძე
დავით უთმელიძე	დავით უჯმაჯურიძე
ვახტანგ შაქარიშვილი	თარაშ შურღაია
გიორგი ჩაკვეტაძე	ავთანდილ ცინცაძე
ვლადიმერ ძნელაძე	დავით ჭელიძე
ლევან ხაბეიშვილი	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	ილია ჯიშკარიანი
ჯაბა ჯიშკარიანი	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია;

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, მოიწვია საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და გახსნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს მიულოცა 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში გამარჯვებას. თამარ ჟვანიამ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებს ელით მნიშვნელოვანი და გამოწვევებით სავსე სამუშაო წლები და წარმატებები უსურვა საქმიანობის განხორციელებაში. მან სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ერთიანი ოქმი, რომლის მიხედვით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი არჩეულია მაჟორიტარული სისტემით, ხოლო პროპორციული სისტემით საკრებულოს წევრების 25 მანდატი გადანაწილებულია ოთხ საარჩევნო სუბიექტზე შემდეგნაირად:

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ – 15 მანდატი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 5 მანდატი.

„ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო“- 3 მანდატი.

„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 2 მანდატი.

თამარ ჟვანიამ საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარედ მიიწვია საკრებულოს უხუცესი წევრი ფრიდონ ინჯია და გადასცა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ერთიანი ოქმი, თანდართული დოკუმენტაციით.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ დაიკავა მისთვის განკუთვნილი ადგილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კოლეგებს მიულოცა საკრებულოს წევრობა. განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს თბილისის და თბილისელების საკეთილდღეოდ წამოწყებულ ყველა ინიციატივას, თუმცა არ შეეგუება არც ერთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ქალაქს ან მოსახლეობას. მისი თქმით, საკრებულოს წევრების ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს პატივისცემას და კომპრომისების მიღწევას. მან მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, რომლებმაც საკრებულოს წევრებს ნდობა გამოუცხადეს და მისცეს შესაძლებლობა წვლილი შეიტანონ ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულო გაამართლებს თბილისელების ნდობას. ფრიდონ ინჯიამ სხდომას წარუდგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული წევრების სია და კენჭისყრაზე დააყენა მათი უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

მომხრე - 48

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ სიტყვა გადასცა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს გიორგი ალიბეგაშვილს.

გიორგი ალიბეგაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ მისთვის პატივი იყო მე-5 მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნა. მადლობა გადაუხადა ყველა კოლეგას, რომლებთან ერთადაც მუშაობდა ამ დროის მანძილზე, წარმატებები უსურვა თბილისის ახლადარჩეულ მერს და საკრებულოს მომავალ თავმჯდომარეს. გიორგი ალიბეგაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს წევრები ერთად იზრუნებენ ქალაქის განვითარებაზე. აქვე, აღნიშნა, რომ იხსნის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას და გადადის სახელმწიფოს განვითარების და ფუნდამენტური ღირებულებისთვის მნიშვნელოვან სამსახურში, თუმცა ყოველთვის ეცდება ითანმშრომლოს საკრებულოს წევრებთან და მათთან ერთად იზრუნოს, რომ არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ მთელი ქვეყანა ჩამოყალიბდეს „სიცოცხლით სავსე სახელმწიფოდ“.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ გამოაცხადა 30 წუთიანი შესვენება, რომლის შემდეგაც საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ალიბეგაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: ფრიდონ ინჯია

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიკანორ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: ფრიდონ ინჯია

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ავალიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: ფრიდონ ინჯია

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით დარჩიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: ფრიდონ ინჯია

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: ფრიდონ ინჯია

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“.

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“.

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“.

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა მიმართა საკრებულოს წევრებს, „ფაქტობრივად გაქვთ ისტორიული შანსი, რომ თქვენ თბილისისთვის შექმნათ მეტი დოვლათი, მეტი სიკეთე, არ დაემსგავსოთ წინა მოწვევის საკრებულოს“, რომელიც ყველა იმ გადაწყვეტილების მხარდამჭერი იყო, რომელსაც იღებდა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“. აქვე განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები საკრებულოში არ არიან იმ მიზნით, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იყვნენ მუდმივ კონფრონტაციასა და დაძაბულობაში. მათი მთავარი მიზანია თბილისში შეიქმნას მეტი დოვლათი, იყოს ნაკლები სოციალური პრობლემა, გადაიჭრას ეკოლოგიური საკითხები, მოწესრიგდეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც იქნება თბილისის და თბილისელების ინტერესებისთვის. ლევან ხაბეიშვილმა საკრებულოს უმრავლესობის წევრების მისამართით განაცხადა, რომ მათ ოთხი წლის განმავლობაში მოუწევთ „იმ ტვირთის ტარება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ 2017 წლის 21 ოქტომბერს ფაქტობრივად ჩატარდა სპეცოპერაცია, სახელად არჩევნები. თქვენ აქ ზიხართ მესაფლავეების, კონდუქტორების, თბილსერვის ჯგუფის ბრიგადირების, საჯარო მოხელეების ძალდატანებითი ჩართულობით წინასაარჩევნო კამპანიაში“. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მზად არიან, უმრავლესობასთან ერთად, იმუშაონ თბილისელების საკეთილდღეოდ, თუმცა არავითარ შემთხვევაში შეეგუებიან კორუფციას, ნეპოტიზმს და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეცდებიან უმრავლესობას არ მისცენ საშუალება მიიღოს თბილისელების ინეტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ირაკლი ნადირაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყველა მხარდამჭერს, რომლებიც, მისი თქმით, „მიუხედავად ზეწოლებისა, მუქარისა, შანტაჟისა და ყველა სხვა პრობლემისა“ მივიდნენ არჩევნებზე და მხარი დაუჭირეს მათ. სწორედ ამ ხალხის მხარდაჭერით არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოდგენილი საკრებულოში და განაცხადა, რომ მათი სახელით იბრძოლებს თბილისელების ინტერესების დასაცავად. ირაკლი ნადირაძემ ისაუბრა თბილისში არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ ბევრი მწვავე და მოუგვარებელი საკითხი უკავშირდება საცობებს, პარკინგებს, ავარიულ კორპუსებს, მავნებლურ მშენებლობებს, ჰაერის დაბინძურებას და ზოგადად ეკოლოგიას, ჯანდაცვის და სოციალურ პრობლემებს, დასაქმებას და სამწუხაროა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ეს პრობლემები კიდევ უფრო მძიმდებოდა, რადგან დავით ნარმანიამ და „ქართული ოცნების მთავრობამ“ ძალიან ცუდად იმუშავა. თუმცა, ირაკლი ნადირაძის თმით, ამ ყველაფერში მთავარი დამნაშავე და პასუხისმგებელი არის საკრებულო, „რომელმაც ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია - ყოფილიყო დავით ნარმანიას მთავრობის ოპონენტი და მაკონტროლებელი ორგანო და ხდებოდა ისე, რომ ყველა მავნებლურ გადაწყვეტილებას ვამართლებდით“. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ იყო მე-5 მოწვევის საკრებულოსთან დაკავშირებული ხმაურიანი და სკანდალური გადაწყვეტილებები და მიმართა საკრებულოს წევრებს „თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ თბილისელების ინტერესების დამცველი საკრებულო, უნდა დავიბრუნოთ მთავარი ფუნქცია - ოპონენტის და მაკონტროლებლის ფუნქცია და ბევრ საკითხებთან მიმართებაში უნდა ვიყოთ ინიციატორები“. წინააღმდეგ შემთხვევაში, თბილისის საკრებულო იქნება არა თბილისელების ინტერესების დამცველი, არამედ ბიძინა ივანიშვილის და მისი ვიწრო პარტიული ინტერესების დამცველი. ირაკლი ნადირაძემ საკრებულოს წევრებს უსურვა წარმატებული საქმიანობა, მათ შორის გიორგი ტყემალაძეს, რომელიც წარდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე და განაცხადა, რომ ქალაქისთვის სასიკეთო ყველა

გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერენ, თუმცა პერსონალური საკითხების დამტკიცება არის უმრავლესობის პასუხისმგებლობა და ამიტომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პერსონალური საკითხების კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ირაკლი ზარქუა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს უსურვა, რომ ის შესაძლებლობა, რომელიც მისცა თბილისის მოსახლეობამ, მაქსიმალურად გამოიყენოს არა „ჩასაფრებულის პოზიციისთვის“, არამედ კონსტრუქციული დიალოგისთვის და დებატებისთვის. მისი თქმით, საკრებულოში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების რაოდენობრივი სიმცირე არის სწორედ მათი არადამაჯერებელი, არაორგანიზებული და პოპულისტური დაპირებების შედეგი და მიმართა მათ „კიდევ გეძლევათ შესაძლებლობა იყოთ ადეკვატურები იმ გამოწვევების და პრობლემების წინაშე, რომლებიც ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობას აწუხებს“. ირაკლი ზარქუამ აქვე, ისაუბრა იმ პროექტებზე, რომლებსაც აფინანსებს და ახორციელებს ბიძინა ივანიშვილი და განაცხადა, რომ თითოეული მათგანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის და დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ მომავალშიც მხარს დაუჭერს ყველა იმ პროექტს, რომელიც აქცენტირებული იქნება ახალი რეკრეაციული ზონის და სამუშაო ადგილების შექმნაზე, დედაქალაქის მოსახლეობისთვის და ტურისტებისთვის ახალი დასასვენებელი ადგილების მოწყობაზე. მისი თქმით, უმრავლესობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი არის შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი და განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია და თუ ოპოზიციის წარმომადგენლები იქნებიან საქმეზე ორიენტირებული, დარწმუნებულია, რომ ერთობლივი მუშაობით, შედეგი იქნება გაცილებით უკეთესი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლევან ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს მიულოცა დღევანდელი დღე. მან დააფიქსირა მოსაზრება, რომ პირველი შეხვედრა უნდა იყოს უფრო საზეიმო, რადგან სამუშაო შეხვედრებისთვის ოთხი წელი კიდევ წინ არის. ლევან ჯაფარიძემ განაცხადა, რომ უკომენტაროდ ვერ დატოვებს ლევან ხაბეიშვილის სიტყვებს და მიმართა მას: „დიახ, ჩვენ აგვირჩიეს მემანქანეებმა, მეეზოვეებმა, მესაფლავეებმა... იყო დრო, როდესაც მკვდარი სულები გირჩევდნენ, არარსებული ადამიანები გირჩევდნენ და ამიტომ ამ თემებზე, ძალიან გთხოვთ, დღეს ნუ ვისაუბრებთ“. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დღევანდელი სხდომა არის საზეიმო, კოლეგას, რევაზ სოხაძეს, მიულოცა დაბადების დღე და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ „იქნებ ამ მილოცვით გადავიდეთ საზეიმო ვითარებაში და აღარ ვიკამათოთ“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახტანგ შაქარიშვილი მიესალმა კოლეგებს, ქართველ საზოგადოებას და ქვეყანას მიულოცა 2017 წლის არჩევნების დასრულება, რომელსაც „წარმატებულად ჩაბარებული დემოკრატიის ტესტი“ უწოდა. მან საკრებულოს წევრებს თბილისის მოსახლეობის სამსახურში წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ საკრებულო, განახლებული შემადგენლობით და ენერგიით შეძლებს, რომ დედაქალაქის და მისი მოსახლეობის ხვალინდელი დღე გახდეს უკეთესი და მათი აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული მოქალაქე იგრძობს არსებული ვითარების ყოველდღიურ გაუმჯობესებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ არანაირი თვითმიზანი არ არის კონფრონტაცია და არავის აქვს სურვილი იყოს „ჩასაფრებული“, თუმცა ყველას უნდა გვესმოდეს ჩვენი ფუნქცია და როლი, რაც თბილისის და თბილისელების ინტერესებზე ზრუნვაა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს წევრები წარმოადგენენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს და ამა თუ იმ საკითხზე აქვთ განსხვავებული ხედვა, ყველანი წარმოადგენენ თბილისს და ისურვა, რომ „ამ შემადგენლობის საკრებულომ არ დაასრულოს ისე, როგორც წინა საკრებულომ დაასრულა, როდესაც პოლიციის

კორდონით გარშემორტყმული იღებდა გადაწყვეტილებებს, იმის მაგივრად, რომ მიეცა თბილისელებისთვის განმარტება, ინფორმაცია და დასაბუთება. აბსოლუტურად სხვა წესით და სტილით მიიღებოდა გადაწყვეტილებები". მან ასევე, ისურვა, რომ საკრებულოს თითოეულ წევრს ახსოვდეს, რომ წარმოადგენს არა ერთი კონკრეტული, არამედ ყველა თბილისელის ინტერესებს, საკრებულოში არაფერი ხდებოდეს თბილისელების გარეშე და ახსოვდეს რა პრობლემები აქვს ხალხს. გიორგი გაბაშვილის თქმით, „ჩვენ არ უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთს იმაში, ვინ უფრო მეტ საწყენ რამეს ეტყვის ერთმანეთს", რადგან ეს არავის აინტერესებს. ხალხს არ აინტერესებს პოლიტიკურ ძალებს შორის კინკლაობა, მათ აინტერესებს გაკეთდება თუ არა რამე იმისთვის, რომ შემცირდეს უსაშველოდ გაზრდილი ბიუროკრატიული ხარჯები და ეს თანხები გამოვიყენოთ მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, გაკეთდეს რამე სოციალურად დაუცველებისთვის და პენსიონერებისთვის, განხორციელდეს ისეთი პროექტები, რომლებიც შექმნის სამუშაო ადგილებს, იყოს ნაკლები საცობი და ადამიანებს ჰქონდეთ სუფთა ჰაერი. საუბრის ბოლოს, გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიების ვალდებულება სწორედ ის არის, რომ ყველა იმ საკითხზე, რომელსაც ჩათვლის, რომ თბილისელების ინტერესებში არ შედის, უმრავლესობას პირდაპირ დაუფიქსიროს თავისი პოზიცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა თბილისელებს, რომლებმაც მიანიჭეს საკრებულოს წევრის მანდატები, კოლეგებს მიულოცა დღევანდელი დღე და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. თამარ ტალიაშვილის თქმით, ოპოზიციისგან მოვისმინეთ, რომ არ უნდა იყოს კონფრონტაცია, თუმცა მათი განცხადებები იყო სწორედ კონფრონტაციული. მან ისაუბრა მე-5 მოწვევის საკრებულოზე, სადაც „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა, ქალაქის მერი, გაწეული მუშაობის ანგარიშით, ეხილათ საკრებულოს სხდომაზე, ქ.თბილისის ბიუჯეტი განეხილათ საგნობრივად და შენიშვნა-რეკომენდაციებით დაებრუნებინათ მერიისთვის და როდესაც საუბარია საკრებულოს უფლებამოსილებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ წინა მოწვევის საკრებულომ თავისი უფლებამოსილება განახორციელა მაღალი პასუხისმგებლობით. თამარ ტალიაშვილმა ისურვა, რომ საკრებლოს წევრებმა საკრებულოში მუშაობის თითოეული დღე მოახმარონ არა კონფრონტაციას, არამედ თბილისში არსებული პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ დღევანდელი დღე ასოცირდება ახალ იმედებთნ და განაცხადა, რომ საკრებულოს თითოეული წევრი წარმოადგენს თითოეული თბილისელის იმედს, თუ როგორი გზით განვითარდება ჩვენი დედაქალაქი. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს დეპუტატი არის უკვე მესამედ, თუმცა პირველად არის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და აქვს მოსახლეობის დავალება, რომ ერთი საათიც არ გაატაროს მათთვის მიცემული დაპირებების რეალიზებაზე ფიქრის გარეშე. შალვა ოგბაიძის თქმით, „ჩვენ არამხარდამჭერ თბილისელებს უფრო მეტად უნდა დავუსაბუთოთ, რომ სწორედ ჩვენი გუნდი გახლავთ ის გუნდი, რომელიც ჩვენს დედაქალაქს სიცოცხლით სავსე ქალაქად გადააქცევს". საუბრის ბოლოს, საკრებულოს თითოეულ წევრს წარმატებები უსურვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ განაცხადა, რომ ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ყველა მზად არის ურთიერთანამშრომლობისთვის და შეუდგა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვას.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ალიბეგაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ და განმარტა, რომ 2017 წლის 14 ნოემბერს, საკრებულოს წევრმა გიორგი ალიბეგაშვილმა, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა საკრებულოს. მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან (15.11.2017წ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ალიბეგაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი ცნობის სახით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიკანორ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ და განმარტა, რომ 2017 წლის 14 ნოემბერს, საკრებულოს წევრმა ნიკანორ მელიამ, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა საკრებულოს. მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან (15.11.2017წ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიკანორ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი ცნობის სახით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ავალიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ და განმარტა, რომ 2017 წლის 14 ნოემბერს, საკრებულოს წევრმა დავით ავალიანმა, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა საკრებულოს. მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან (15.11.2017წ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ავალიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი ცნობის სახით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით დარჩიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ და განმარტა, რომ 2017 წლის 14 ნოემბერს, საკრებულოს წევრმა დავით დარჩიაშვილმა, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა საკრებულოს. მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან (15.11.2017წ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით დარჩიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი ცნობის სახით იქნა მიღებული.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ და მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მარიკა დარჩია მიესალმა და წარმატებები უსურვა დამსწრე საზოგადოებას. იმედი გამოთქვა, რომ ახალი მოწვევის საკრებულოს საქმიანობა მთელი 4 წლის განმავლობაში იქნება წარმატებული და საკრებულოს წევრები შეძლებენ კონსტრუქციულ თანამშრომლობას. მარიკა დარჩიამ სხდომას გააცნო წერილობითი წარდგინება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის არჩევის შესახებ და აღნიშნა, რომ წარდგინებას ხელს აწერს საკრებულოს წევრთა უმრავლესობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატურა და მიმართა გიორგი ტყემალაძეს, არის თუ თანახმა კენჭი იყაროს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. გიორგი ტყემალაძის თანხმობის შემდეგ, ფრიდონ ინჯიამ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის არჩევის შესახებ.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა 2017 წლის 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების წარმატებით ჩატარება და საკრებულოს წევრობა. მან მადლობა გადაუხადა კოლეგებს ნდობისთვის და აღნიშნა, რომ სრულად აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მის წინაშეა. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ოპონენტი კოლეგების განწყობა, თუკი ის არის გულწრფელი, მისასალმებელია და დააფიქსირა პოზიცია, რომ შეუერთდება მათ პათოსს, რადგან უმრავლესობა მზად არის მიიღოს თითოეული თბილისელის კეთილდღეობისკენ მიმართული გადაწყვეტილებები. მან ასევე, მადლობა გადაუხადა მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრებს და აღნიშნა, რომ წინა მოწვევის საკრებულო გადაწყვეტილებებს იღებდა არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ ამა თუ იმ საკითხის შინაარსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა - „მე ვიქნები გარანტი იმისი, რომ ყველა პროცესი იყოს ღია და გამჭვირვალე“ და აღნიშნა, რომ საკრებულოს თითოეული წევრის ვალდებულებაა მიიღოს თბილისელებისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებები, რასაც აუცილებლად შეძლებენ ერთობლივად, თუკი იქნებიან კონსტრუქციულად განწყობილები და საქმეზე ორიენტირებულები. მან აქვე, არჩევნებში გამარჯვება მიულოცა თბილისის მერს, რომლის წარმატებები ყველასთვის ცნობილია და დარწმუნებულია, რომ კიდევ უფრო წარმატებული იქნება თბილისის მერის პოზიციაზე. გიორგი ტყემალაძემ იმედი გამოთქვა, რომ ურთიერთთანამშრომლობით შეძლებენ და გაამართლებენ იმ დიდ ნდობას, რომელიც თბილისის მოსახლობამ გამოუცხადა თბილისის მერს და „ქართული ოცნების“ გუნდს და შეძლებენ, რომ „ვიცხოვროთ ნამდვილად სიცოცხლით სავსე ქალაქში“.

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან აღნიშნულ თანამდებობაზე წარადგინა გიორგი ახვლედიანის კანდიდატურა და განაცხადა, რომ იგი თვითმმართველობის მიმართულებით ძალიან გამოცდილი კადრია და ფიქრობს, რომ წარმატებით გაართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე გიორგი ახვლედიანის არჩევის შესახებ.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან აღნიშნულ თანამდებობაზე წარადგინა მარიკა დარჩიას კანდიდატურა და განაცხადა, რომ ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება, რადგან, როგორც თითოეული ჩვენგანი, ასევე საზოგადოება კარგად იცნობს და პატივს სცემს მას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე მარიკა დარჩიას არჩევის შესახებ.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან აღნიშნულ თანამდებობაზე წარადგინა დავით უჯმაჯურიძის კანდიდატურა და განაცხადა, რომ იგი გამოცდილი კადრია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დავით უჯმაჯურიძის არჩევის შესახებ.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ხვალ, დღის მეორე ნახევარში გაიმართება საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, გააცნო სავარაუდო დღის წესრიგი და საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 5 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი